ვის აქვს უფლება ჩაერთოს მკურნალობის პირველი ეტაპის სახელმწიფო პროგრამაში?

საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს, ან იმ მოქალაქეებს, ვისაც აქვთ ორმაგი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები :

- პაციენტები ღვიძლის კომპენსირებული ციროზით (F 4)
- პაციენტები ღვიძლის შორსწასული ფიბროზით (F 3)
- პაციენტები ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზით (ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები)
- პაციენტები ღვიძლის ტრანსპლანტაციით და C ჰეპატიტის რეინფექციით
- პაციენტები C ჰეპატიტის ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური (ღვიძლის გარეშე) გამოვლინებებით, პაციენტები აივ ვირუსის კო-ინ ფექციით

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე. 032 2181221

სად გავიაროთ დიაგნოსტირება და მკურნალობა?

თბილისი :

კლინიკა „ნეოლაბი“ - ნუცუბიძის ქუჩა 8. ტელ : 2 39 28 03
კლინიკა „ჰეპა“ - ლუბლიანას ქუჩა 18/20. ტელ: 2 43 11 11
ინფექციური საავადმყოფო - ალ. ყაზბეგის გამზირი 16. ტელ: 2 39 56 59
„მრჩეველი“,ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფი - ალ.ყაზბეგის გამზირი 9. 2 93 10 00

ქუთაისი:

შპს „მედიკალ სიტი“- ფოთის ქუჩა 40. ტელ: 431 24 39 04
სამედიცინო ცენტრი „ლივერმედი“ - თამარ მეფის ქუჩა 26.
„იმერეთის განვითარების ცენტრი“ - რუსთაველის გამზირი 27.

ბათუმი:

ბათუმის ინფექციური საავადმყოფო - ქათამაძის 11. ტელ: 577 10 76 76

მკურნალობაში ჩართვისთვის აუცილებელია სწრაფი/მარტივი ტესტით ან იმუნოფერმენტული ანალიზის (იფას) მეთოდით C ჰეპატიტის ვირუსის განსაზღვრა სისხლში. სწრაფი/მარტივი ტესტის ჩატარება უფასოდ შესაძლებელია ეროვნულ სკრინინგ ცენტრებში თბილისში - ვარკეთილის ან დიდუბის ფილიალში. ტელ: 2 20 35 35

პროგრამის მოსარგებლეებისთვის მკურნალობა უფასოა!

რა კვლევები უნდა ჩავიტაროთ ეტაპობრივად მკურნალობაში ჩასართავად?

- ექიმთან ვიზიტი
- სისხლში HCV (C ჰეპატიტის ვირუსი) რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით
- HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს უტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB – 4 ქულის გამოთვლით.
- იმ შემთხვევაში თუ FIB – 4 ქულა არის 1.45 – 3.25 მაჩვენებელს შორის პაციენტებს დამა ტებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია.
- თუ ღვიძლის ფიბროზის მაჩვენებელი არის F3- ზე დაბალი, კვლევა წყდება.
- თუ ღვიძლის ფიბროზის მაჩვენებელია F3, F3-F4, F4 – პაციენტებს უტარდებათ HCV გენეტიკური ტიპის (გენოტიპის) განსაზღვრა PCR მეთოდით.
- მკურნალობაში ჩასართავად ასევე საჭიროა HBsAg, Anti-HBs, G-GT ტუტე ფოსფატაზა, ბილურიბინი, (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ელასტოგრაფითი გამოკვლევა.

რა ღირს პროგრამაში ჩასართავი ანალიზები და რა უჯდება ის პაციენტს თანადაფინანსების პირობებში?

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში დიაგნოსტიკის კომპონენტი სხვადასხვა წყაროდან ფინანსდება, გთავაზობთ დიაგნოსტიკის ფასის დეტალურ ცხრილს დაფინანსების სხვადასხვა მოდელით. ცხრილში მოცემულია დიაგნოსტიკის თითოეული ეტაპის ფასები.

ეტაპი	მომსახურება	პროგრამის ფასი	პაციენტი იხდის 70%	პაციენტი იხდის 30%	მერია იხდის 10%	მერია ფარავს მთლიანად
1. C ჰეპატიტის დადგენა	1.ექიმის კონსულტაცია და ფორმა 100/ა, NIV.	20	14	6.00	2	0
	2. HCV რნმ -ის რაოდენობრივი PCR.	110	77	33	11	0
2. ღვიძლის ფიბროზის დადგენა	სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, FIB4	24	16.8	7.20	2.4	0
	ელასტოგრაფია	80	56	24	8	0
3. ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტების შედეგების გამოკვლევები	HCV გენოტიპირება	140	98	42	14	0
	HBs-Ag, Anti-HBs, BILL (პირდაპირი და საერთო), G-GT, ტუტე ფოსფატაზა, კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ექოსკოპია	106	74.2	31.8	10.6	0
	სრული ღირებულება	480	336	144	48	0

პროგრამის დიაგნოსტიკური კომპონენტის თანადაფინანსება თბილისში და რეგიონებში

თბილსი :
სახელმწიფო - 30 % • თბილისის მერია - 60% • პაციენტი - 10% • სოციალურად დაუცველები - 100%

აჭარა
ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო:
სახელმწიფო - 30 % • სამინისტრო - 60% • პაციენტი - 10% • სოციალურად დაუცველები - 100%

ბათუმის მერია:
სახელმწიფო 30% • მერია 42% (სახელმწიფო დაფინანსების შემდეგ დარჩენილი გადასახადის 60%)
პაციენტი 28% • სოციალურად დაუცველები 100%

ზიდა ქართლი / გორი
სახელმწიფო - 30 % • გორის მერია - 50% • პაციენტი - 20% სოციალურად დაუცველები - 100%, აქედან სახელმწიფო 70% და 30% გორის მერია.

სამეგრელო-ზემო სვანეთი / ზუგდიდი
სოციალურად
დაუცველი მოქალაქე
სახელმწიფო - 70 % • ზუგდიდის მერია /ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა 30% • პაციენტი - 0%;

სხვა მოქალაქე
სახელმწიფო - 30 % • ზუგდიდის მერია /ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა - 70% • პაციენტი - 0%

იმერეთი/ ქუთაისი
სოციალურად დაუცველი ქუთაისში მცხოვრები მოქალაქე
სახელმწიფო 70%, ქუთაისის მერია 30%, პაციენტი - 0

ყველა სხვა რეგიონში და ქალაქში პაციენტი იხდის დიაგნოსტირების 70%, სახელმწიფო 30% • სოციალურად დაუცველები: სახელმწიფო 70%, პაციენტი - 30%.

მკურნალობის მონიტორინგი და პროგრამით გათვალისწინებული გამოკვლევები

- მკურნალობის რეჟიმი და ხანგრძლივობა დამოკიდებულია გენოტიპზე.
- მკურნალობის მინიმალური ვადაა 12 კვირა, მაქსიმალური - 48 კვირა.
- მკურნალობის პერიოდში გათვალისწინებულია გამოკვლევები, რომლებიც აუცილებლად უნდა ჩატარდეს მკურნალობის პერიოდში.
- მკურნალობის მონიტორინგის თანხები ფინანსდება შემდეგნაირად: სახელმწიფო იხდის თანხის 30% , პაციენტი კი 70%. სიციალურად დაუცველთა შემთხვევაში კი პაციენტი იხდის მხოლოდ 30%.
- მკურნალობის მონიტორინგის გამოკვლევების ფასი 48 კვირიანი რეჟიმის პირობებში არის - 585 ლარი 20 თეთრი.
- ხოლო 12 კვირიანი რეჟიმის პირობებში - 360.50.

მკურნალობის პერიოდში გამოვლენილი დამატებითი გამოკვლევების საჭიროების შემთხვევაში პაციენტი თვითონ იხდის ანალიზების მთლიან თანხას.

როგორ ჩავერთოთ პროგრამაში?

პაციენტი უნდა დარეგისტრირდეს სოციალური მომსახურების სააგენტოში, (თბილისში: სამინისტროს მისაღებში ან სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში. რეგიონებში - რეგიონალურ ცენტრებში), სადაც პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს:

- ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა NIV- 100ა, (დედანი)
- მკურნალობაში ჩართვის წინ ჩატარებული კვლევების დოკუმენტები
- პირადობის მოწმობის ასლი
- ჩაბარების დრო ავსებს შესაბამის განაცხადს
- პაციენტი აქვე ირჩევს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას,სადაც სურს მომსახურების მიღება.

დარეგისტრირებული პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება კომისიის მიერ, რომელიც იკრიბება რეგულარულად. ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, 7 დღის განმავლობაში სააგენტო დაუკავშირდება პაციენტს და აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას.
დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გაიცემა თანხმობის წერილი
პაციენტმა მკურნალობაში დასაწყებად თანხმობის წერილის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ჩაითვლება გაუქმებულად.

ცოტა C

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა

პირველი ეტაპის ღონისძიებები

საინფორმაციო ბროშურა პაციენტებისთვის

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
GHRN
MEDECINS DU MONDE
GeNPUD